აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№102 (25.126) 15 დეკემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 12-17 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვა.

ბათუმში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა მოადგილე გიორგი ბუთხუზთან, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ბათუმში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი გახსნა. შინაგან საქმეთა მინისტრი სერვისცენტრის თანამშრომლებს გაესაუბრა და მათ საქმიანობაში წარმატება უსურვა. ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. მინისტრმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ახლად გარემონტებული შენობაც დაათვალიერა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა მოწყობილი.

ბათუმში ერთიანი მომსახურების ცენტრის გახსნა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების გაძლიერებასა და საპოლიციო სერვისებზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად.

მოქალაქეები 50-მდე საპოლიციო მომსახურებას ერთ სივრცეში მიიღებენ, მათ შორის: ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმებას ან ჯარიმით შეცვლას, ნაპოვნი სანომრე ნიშნის მიღებას, სპეციალურ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების გაყვანაზე თანხმობას და სხვა.

საპატრულო პოლიციის თანამედროვე საპოლიციო სერვისცენტრი აღჭურვილია ვიზიტიორთა რიგის მართვის, ელექტრონული ხელმოწერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებით, ასევე, დანერგილია გაანცხადების ელექტრონული ფორმით მიღების სისტემა.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, გორსა და ბათუმში ფუნქციონირებს და სამომავლოდ საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიხსნება.

ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირიც გამართა.

მინისტრმა აჭარის პოლიციის დანაყოფის ხელმძღვანელებისგან რეგიონში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიმდინარე წელს გატარებული საპოლიციო და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მიმდინარე წელს აჭარის რეგიონში მომხდარი დანაშაულების გახსნის მაჩვენებელს და აღინიშნა, რომ გარკვეული ტიპის დანაშაულის რაოდენობა შემცირდა, გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა.

სამუშაო თათბირზე ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის როგორც სოციალური, ისე სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

მინისტრმა შეხვედრაში მონაწილე სამართალდამცველებს კონკრეტული დავალებები მისცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

მეტი ქალი – გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შეხვედრა ბათუმში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სასტუმრო „ჰილტონში“ პოლიტიკური პარტიების ქალი წარმომადგენლებისთვის, უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ორგანიზებით, ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

შეხვედრას უძღვებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია, ევროპის საბჭოს ექსპერტი ირმა პავლიაშვილი, ევროპის საბჭოს პროექტის უფროსი ოფიცერი მაია ჯორჯიკია, ასევე, ევროპის საბჭოს ექსპერტი სონია ლოკარი (დისტანციური ჩართვა).

სამუშაო შეხვედრის პირველ დღეს განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტები; ქალების და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში; დისკრიმინაციის მრავალჯერადი და ინტერსექციული ფორმები: კულტურა, სტერეოტიპები; თანაბარი ძალაუფლება და ზეგავლენა პოლიტიკური დღის წესრიგისა და პრიორიტეტების ფორმულირებისას.

დასკვნით შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებსა და შიდაპარტიულ დემოკრატიას.

- ვისაუბრეთ როგორც საკანონმდებლო ჩარჩოზე (რა რეგულაციები განსაზღვრავს ქალთა მონაწილეობას და არსებით ჩართულობას პოლიტიკაში), ასევე, პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე - რა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბარიერებია შექნილი, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვეყანაში არა მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის კუთხით (ამ შემთხვევაში ჩვენ როგორც კონსტიტუციაში, ასევე, საარჩევნო კანონმდებლობაში მთელი რიგი მექანიზმები გვაქვს, რაც არეგულირებს ქალთა ჩართულობას), არამედ, ასევე, პრაქტიკაშიც, რომელიც არსებითია, მაგალითად, პარტიების შიდა დემოკრატიის განვითარების მიმართულებით, - გვითხრა ირმა პავლიაშვილმა.

- ორი დღის განმავლობაში უმაღლესი საარჩევნო კომისია და ევროპის საბჭო ერთობლივად ახორციელებდა პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობას და გააქტიურებას. ამ კუთხით მოწვეული გვყავდა ევროპის საბჭოს ექსპერტები. ძირითადად, საუბარი გვქონდა როგორც საქართველოს, ასევე ევროპის კანონმდებლობასა და არსებულ რეალობაზე, ანუ რამდენად მონაწილეობს ქალი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რამდენად მნიშვნელოვანია მისი ხმა საზოგადოებასა და პოლიტიკაში, - გვითხრა პარმენ ჯალაღონიამ.

- ქალების პოლიტიკაში ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის ეს ჯერ კიდევ გამოწვევაა, მიუხედავად იმ პროგრესისა, რომელიც უდავოდ გვაქვს. შესაბამისად, ინფორმაცია, რაც ამ 2 დღის განმავლობაში მივიღეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, საარჩევნო სიახლეებზე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმისა, არის საკითხები, რომლებიც ქალებს გვაერთიანებს, სოლიდარულები ვართ ერთმანეთის მიმართ. ხშირად გვესმის მამაკაცების მხრიდან პრეტენზია - რა საჭიროა ქალების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში. რატომღაც ისინი თვლიან, რომ ეს არის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ის სფერო, სადაც მხოლოდ თვითონ უნდა იყვნენ. მე შევუბრუნებდი მათ კითხვას: იცით კი, რა სურთ ქალებს? ვთვლი, რომ თანაბრად უნდა ვიყოთ წარმოდგენილი პოლიტიკურ პროცესებში, იქნება ეს ხელისუფლების, უმაღლეს თუ თვითმმართველობის დონეზე, - გვითხრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის და გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილი ევროკომისიის პრეზიდენტს

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს წერილი გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა, მოსახლეობა ელოდება, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სტრატეგიულ, მომავალზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რაც მტკიცედ დააკავშირებს საქართველოს ევროპული დემოკრატიების ოჯახთან

„ქალბატონო პრეზიდენტო, პირადად თქვენ და ევროკომისიას მინდა, მოგახსენოთ უშუალოდ ჩემი და ჩემი მთავრობის უღრმესი მადლობა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ ბოლოდროინდელი რეკომენდაციისთვის. ეს, უდავოდ, იყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ძალიან ძლიერი პარტნიორობისა და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური მხარდაჭერის შედეგი. საქართველომ გრძელი გზა განვლო იმ ერთა ჯგუფში გასაწევრიანებლად, რომლებიც ევროკავშირის მომავალ წევრ სახელმწიფოებად მიიჩნევიან. ევროკავშირის და განსაკუთრებით ევროკომისიის ერთგული და ძლიერი მხარდაჭერის შედეგად, ჩემმა მთავრობამ გააგრძელა ქართველი ხალხის მოლოდინის ასრულება. შორსმიმავალი ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, უსაფრთხოების სფეროში ძლიერი პარტნიორობა, გაძლიერებული სავაჭრო ურთიერთობები და სხვადასხვა სფეროში გაფართოებული თანამშრომლობა არის ევროკავშირთან და მის ინსტიტუტებთან ჩვენი მუდმივად მზარდი პარტნიორობის ყველაზე ნათელი მაგალითი. გვახარებს, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ 2023 წელს გამოქვეყნებული ანგარიშით აღიარებულია საქართველოს მთავრობის დაუღალავი ძალისხმევა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირის წესებთან და სტანდარტებთან პროგრესულ შესაბამისობასთან მიმართებით. უდავოა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას თან ახლავს გრძელვადიანი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ჩემს მთავრობას მტკიცედ აქვს განზრახული, გააგრძელოს და კიდევ უფრო დააჩქაროს აუცილებელი რეფორმების განხორციელება. გიდასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, გავაღრმაოთ თანამშრომლობა ევროკომისიასთან და გადავდგათ ნაბიჯები ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე წინსვლისთვის.

მძიმედ დაპირისპირებულ რეგიონში ვაგრძელებთ საქართველოს როლის განმტკიცებას, როგორც რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის, დემოკრატიული განვითარებისა და თანამშრომლობის საყრდენს. ჩვენ ასევე ვართ გადამწყვეტი რგოლი გლობალური დაკავშირებადობის რუკაზე, რომელიც მსოფლიოს სთავაზობს ალტერნატიულ მარშრუტებს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობისთვის და შავ ზღვაზე ტვირთბრუნვისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. დარწმუნებული ვართ, საქართველო, როგორც ევროკავშირის მომავალი წევრი სახელმწიფო, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის საერთო კეთილდღეობაში. კანდიდატის სტატუსის მინიჭება დამატებით იმპულსს მისცემს საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას.

ნება მომეცით, მადლიერება გამოვხატო ევროკავშირისადმი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის, ასევე, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში შეტანილი ღირებული წვლილისა და მხარდაჭერისთვის. გვჯერა, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ძლიერი ჩართულობა გადამწყვეტი იქნება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მშვიდობიანი რეინტეგრაციის უზრუნველყოფისა და გახლეჩილი საზოგადოების წევრების შერიგების საქმეში. საქართველოს მომავალი ევროკავშირშია და მას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენი ერი და ჩემი მთავრობა ელოდება, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სტრატეგიულ და მომავალზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ კვირაში, რაც მტკიცედ დააკავშირებს საქართველოს - ევროკავშირის მომავალ წევრ სახელმწიფოს - ევროპული დემოკრატიების ოჯახთან. თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს ოცნების რეალობად ქცევისთვის და ჩვენი მუდმივი თანამშრომლობის იმედით, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი თქვენდამი უდიდესი პატივისცემის რწმუნება“, - ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის წერილში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წერილები ასევე გაუგზავნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და ევროკავშირის 27-ვე სახელმწიფოს ლიდერს.

ქრონიკა

აჭარის საკანონმდებლო ორგანომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც 726 553 700 ლარს შეადგენს. ფინანსური დოკუმენტი, 2023 წელთან შედარებით, 153 902 300 ლარით, 26.8%-ით გაიზარდა.

ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 649 100 000 ლარით განისაზღვრა. 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 7 519 300 ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 5 763 200 ლარი; აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 139 815 900 ლარი. ზრდა 25 201 985 ლარი, 22 %. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 51 255 000 ლარი. ზრდა 2 505 500 ლარი, 5.1 %. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 140 621 700 ლარი. ზრდა 25 456 290 ლარი, 22.1 %. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 32 014 600 ლარი. ზრდა 3 273 628 ლარი, 11.4%.

* * *

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში სარფი, მებაჟე ოფიცრების მიერ, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა - 487,55 გრამი) გამოვლინდა. უწყების ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ ჯამში, 49 870,6 ლარი შეადგინა. სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა, ხოლო კანონდამრღვევი საქართველოს მოქალაქე, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით, 7509,9 ლარით დაჯარიმდა.

* * *

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ბოლო ერთი წლის საქმიანობა შეაჯამა და პარალელურად, მეგზევის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, რომელიც 10 დეკემბერს აღინიშნება, დეპარტამენტის თანამშრომლები დააჯილდოვა. ანგარიშის წარდგენას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე დაესწრო. 2023 წელს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მოვლა-შენახვისთვის 62 106 672 ლარი დახარჯა. მის ფარგლებში, აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში 22 მიმართულებით 61.42 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა, 75 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე იგება ბეტონის საფარი, აშენდა 159 ხელოვნური ნაგებობა, მათ შორის 17 ახალი ხიდი და 127 საყრდენი კედელი. შეიძინეს 28 ახალი სპეცტექნიკა, რომელიც თოვლის გაწმენდით სამუშაოებში ჩაერთვება. 2024 წლის პროექტებისთვის 63 983 516 ლარია გათვალისწინებული, რომლის ფარგლებშიც 27 მიმართულებით, 66.87 კმ სიგრძის საავტომობილო გზაზე დაგეგმილია ასფალტ-ბეტონის, 70 კმ-ზე - ბეტონის საფარის მოწყობა, 10 000 კვმ- გზის ორმული შეკეთება, 224 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა-მოწყობა, მათ შორის, 19 ხიდის, 160 საყრდენი კედლის და 45 დამცავი ნაგებობის.

* * *

ურთიერთთანამშრომლობით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, საერთო მიღწევები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში დაგლას უებმა და აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, UNDP გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობით განხორციელებული პროექტები მათ ხელს უწყობს ევროპული დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებაში.

* * *

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა. ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩეტკიძეებში შეკეთდა კაპიტალური ხიდი, გაფართოვდა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. აღნიშნული ხიდით 40-მდე ოჯახი ისარგებლებს. გარდა ამისა, სოფელს ალტერნატიული შემოვლითი გზაც ექნება. მერისის ხეობის სოფელ ნამონასტრევში არსებული ხიდი შეკეთდა, ხის კონსტრუქციები ლითონით შეიცვალა. ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ხიდების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან 148 778 ლარი დაიხარჯა.

* * *

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მოქმედ მუდმივ წარმომადგენელ დაგლას უებთან. მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით: „შეხვედრაზე განიხილეს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ბათუმის მერიის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ისაუბრეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის შექმნისა და დანერგვის მიზნით მიმდინარე პროექტზე „ბათუმი - ახალი სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში“. პროექტში მონაწილეობის მიზნით, საწყის ეტაპზე განხორციელდა ქალაქის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება სხვადასხვა მიმართულებით და დაიწყო მუშაობა ამ გამოწვევების საპასუხოდ პორტფელის დიზაინის ფორმირებისთვის. პორტფელზე მუშაობის დროს განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები, მათ შორის, დამყარდა პარტნიორობა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან და გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი ბათუმში სტარტაპ და სამეწარმეო მიმართულებით თანამშრომლობაზე. ამავე პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა ბათუმში სტარტაპის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეროვნული შეჯიბრების ჩატარება.

* * *

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის აჭარის ვაჟთა და ქალთა ღია ჩემპიონატი ჩატარდა ჭადრაკში, რომელიც ონლაინ - „ტორნელო ცომ“ პლატფორმაზე გაიმართა. მასში რვა მოჭადრაკე მონაწილეობდა. ღონისძიება შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა. ვაჟთა შორის პირველ ადგილზე ლერი ტალიკაძე გავიდა, ქალთა შორის - მარგალიტა ნათელაური. საბოლოო შედეგები ასეთია: რომან წითელაძე - 7-დან 4.5 ქულა, ანანო გოგონაძე - 7-დან 4.5 ქულა, არჩილ ვერულიძე - 7-დან 2.5 ქულა, ანა მგელაძე - 7-დან 2 ქულა, მარიამ კაპანაძე - 7-დან 1.5 ქულა, მადონა არძენაძე - 7-დან 1 ქულა. პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკეები ელექტრონული დიპლომებით, საჭადრაკო ლიტერატურით და ჭადრაკის ფიგურის სუვენირით დაჯილდოვდნენ. ტურნირის ყველა მონაწილეს ფასიანი საჩუქარი გადაეცა.

* * *

მომავალი წლის იანვრიდან ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში სამხატვრო ხელმძღვანლის პოსტს ზვიად ბოლქვაძე ჩაიბარებს. „ ეს შეთავაზება ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობაცაა. ძალიან მიყვარს აქ მომუშავე ადამიანები და ზუსტად ვიცი, სიყვარულის გარეშე რომ არასოდეს არაფერი გაკეთდება. სიყვარულით, თანმიმდევრულობით, ერთობით, შრომისმოყვარეობით კეთდება ყველაფერი. ახლა ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მე საკუთარ სახლში ვარ, აუცილებლად დავუბრუნებ ჩემს კუთხეს იმ სითბოს და სიყვარულს, რომელიც მან დედაქალაქში გამატანა. ჩემი კუთხე ყოველთვის მენატრებოდა და ამ მონატრებას ყოველთვის მუსიკით გადმოვცემდი, რომლითაც მუდამ აქ ვიყავი“, - აღნიშნა ზვიად ბოლქვაძემ.

* * *

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილება. ცვლილების თანახმად, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ფუნქციები ახალგაზრდული მიმართულებით გადაეცემა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს. შესაბამისად, კომიტეტების სახელწოდებები განისაზღვრება ასე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი და სპორტის კომიტეტი. ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაცია ავრცელებს. მათი თქმით, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილება გამოწვეულია იმ სტრუქტურული რეფორმის გატარებით, რომლის თანახმადაც, 2024 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი ახალგაზრდობის სფეროში გადაეცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

* * *

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბათუმის ტექნოპარკის ინიციატივითა და აქსელის - „საქართველოს ანგელოზი ინვესტორები“ ქსელის ორგანიზებით, ბათუმში სტარტაპ ფორუმი გაიმართა. ფორუმის მიზანი იყო აჭარის რეგიონში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობა, კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა, ინვესტორების დაინტერესება ადგილობრივი სტარტაპ ეკოსისტემის მხარდაჭერით და ადგილობრივი ინოვაციური და ტექნოლოგიური სტარტაპების ხელშეწყობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი სტარტაპები, რომლებსაც ინვესტორებს საკუთარი პროექტები გააცნეს.

* * *

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე და გომარდულში ახალი საბაგიროები და სასრიალო ტრასები მოეწყობა. უწყების ცნობით, კომპანია „გეოგრაფიკი“ პროექტირების სამუშაოებს უკვე ახორციელებს. პროექტი სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძისა და გომარდულის, როგორც ოთხი სეზონის ლოკაციის განვითარებას ითვალისწინებს.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, ბათუმში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედდა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ბათუმში, აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, მართლწესრიგის 20 ოფიცერი მუშაობას უკვე შეუდგა. მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პირადად მიულოცა. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები. მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა საკონკურსო წესით ხდება, რის შემდეგაც კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეკვირიან ინტენსიურ პროფესიულ სწავლებას გადიან.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

„დღეს ქვეყანას პატიოსანი პოლიტიკოსები სჭირდება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღეს იწერება მომავალი ჩვენი ქვეყნისა, რომელშიც მოგვიწევს ცხოვრება და, რა თქმა უნდა, ეს ხვალინდელი დღე სასიკეთოდ რომ გაგვითენდეს, ზრუნვა ამთავითვეა საჭირო ყველასგან, უპირველესად კი პოლიტიკურ ველზე მოთამაშე სუბიექტებისგან. პარტიები თამაშის ახალ წესებზე ერთვებიან, საყურადღებო მოვლენები ვითარდება არაერთ პოლიტიკურ ჯგუფში, „ნაცმოძრაობაში“ ურთიერთდაპირისპირებებს კი არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა

მაინც, რა ხდება და რას უნდა ველოდოთ მომავალში? რაა საჭირო, რომ ქვეყანა სასურველ რელსებზე გადაერთოს? - ამის თაობაზე თვალსაზრისს „ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი ***მირდატ ქამადაძე*** *გვიზიარებს.*

- ბატონო მირდატ, ენმ-ში განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?

- საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც აინტერესებს და რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა ერთი წლის განმავლობაში ამ პარტიაში განვითარებულ მოვლენებს, მგონი, დაინახა, რაც ხდებოდა, რას ვემიჯნებოდით და რა იყო პარტიისადმი მოთხოვნა. ჩვენ ვაცხადებდით, რომ არ შეიძლება ამომრჩევლის მოტყუება, რომ პოლიტიკაში სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს, პოლიტიკა უნდა იყოს საჯარო. უმთავრესი პრეტენზია იყო ისიც, რომ პარტიაში არაფორმალური მმართველობის სტილი და ფორმა შემოდიოდა. შეიძლება „ნაცმოძრაობას“ ბევრი რამ დაუბრალოს ადამიანმა, მაგრამ არაფორმალურ მმართველობას ვერავინ დააბრალებდა. პარტიას ეს საშიშროება რომ დაემუქრა, ამაზე ხმამაღლა და საჯაროდ საუბარი დავიწყეთ. სამწუხაროდ, პარტიაში განსხვავებული აზრის დევნა დაიწყო. გგულისხმობ, თუნდაც, ბათუმის ფაქტს, როდესაც საკრებულოს სიიდან პარტიის ახალმა მენეჯმენტმა (საერთოდ არავინ არაფერი ვიცოდით) ამოიღო ლევან გორგილაძე, ელიზა ეფაძე, შორენა აბაშიძე... ლევან გორგილაძე საკრებულოს წევრი არ არის სწორედ იმის გამო, რომ სიიდან ამოიღეს... მარტის მოვლენების დროს, როცა რუსთაველის გამზირზე რუსული კანონის წინააღმდეგ ბრძოლა მიდიოდა. ლევან გორგილაძე ამ აქციაზე გაზით მოიწამლა, თურმე იმ დღეებში პარტიის ახალ თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნია ცესკოში და უთქვამს, ეს პიროვნებები (ზემოთ აღნიშნული) სიიდან ამოიღეთო. ასეთმა უსამართლობამ საბოლოოდ მიგვიყვანა პარტიის დატოვების გადაწყვეტილებამდე.

- „ნაცმოძრაობაში“ როდის გახდა არაფორმალური მმართველობა თვალშისაცემი?

- გასული წლიდან, როცა თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილი აირჩიეს. იგრძნობოდა იმ ადამიანების უხილავი ხელი, რომლებიც ამომრჩეველს არ უნახავს წლების განმავლობაში საჯარო სივრცეში, მაგრამ ცდილობენ, მთავარ ოპოზიციურ პარტიაში თავიანთი დღის წესრიგი შექმნან. ეს ხომ ბიძინა ივანიშვილის მმართველობის სტილისგან არაფრით განსხვავდება! ჩვენც რომ შევხედოთ, ბიძინა ივანიშვილი არსად ჩანს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ის პოლიტიკაში არ არის, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ის იღებს. ანალოგიური რამ დაიწყო „ნაცმოძრაობაშიც“, ვხედავთ რამდენიმე ადამიანს.

- და ვინ არიან ისინი?

- არაერთხელ გვისაუბრია მათზე. მე წამოვედი ამ პარტიიდან და აღარ მსურს საუბარი ამ საკითხზე. ისინი საზოგადოებისთვის კარგად არიან ცნობილნი. ბოლო წლების განმავლობაში ეს ადამიანები ბრძოლის წინა ხაზზე, პოლიტიკაში არავის უნახავს, მაგრამ პარტიაში გადაწყვეტილებების აბსოლუტურ უმრავლესობას იღებენ, მათ შორისაა ლევან გორგილაძისა და ჩვენი მეგობრების სიიდან ამოღებაც. დარწმუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება ლევან ხაბეიშვილს არ მიუღია - მას უკარნახეს და, უბრალოდ, შეასრულა.

- ძირითადად, რა გახდა ნიკა მელიასა და ახალი თავმჯდომარის დაპირისპირების მიზეზი?

- თავმჯდომარესთან დაპირისპირება არაფერ შუაშია, ზუსტად ის არაფორმალური მმართველები იყვნენ დაინტერესებული ნიკა მელიათი, სურდათ, პარტიაში მოეწყოთ გადატრიალება, თან იმ ფონზე, როცა ხედავდნენ, მიხეილ სააკაშვილი რა მდგომარეობაშიც იყო. ჰოდა, ჩათვალეს, რომ ეს არის ხელსაყრელი მომენტი და შედეგიც მიიღეს. თან კამპანიაც როგორ აწარმოეს?! მთელი მათი კამპანია ყალბ ემოციაზე იყო აგებული, ხალხს ჰპირდებოდნენ სააკაშვილის გამოხსნას, რაც იმთავითვე ჩანდა, რომ ტყუილი იყო. დღეს ამომრჩევლის დიდი ნაწილი კითხვას უსვამს ლევან ხაბეიშვილს: რატომ არ არის თავისუფალი სააკაშვილი? სად არის უწყვეტი საპროტესტო აქციები? პოლიტიკაში გაცემული დაპირების შესრულებაზე პასუხს რომ მოგთხოვს შენი ამომრჩეველი, ეს ხომ ცხადზე უცხადესია, მაგრამ პასუხის მოთხოვნა არ უნდათ იმიტომ, რომ, რეალურად, პასუხისმგებლობა ახალ თავმჯდომარეს არ აუღია, ანუ გადაწყვეტილებების მიმღები არ არის.

- ამბობენ, თითქოს თქვენ და თქვენმა თანაპარტიელებმა ენმ იმიტომ დატოვეთ, რომ საარჩევნო სიაში ახალი მენეჯმენტი არ შეგიყვანდათ.

- სიმართლე გითხრათ, ეს არ გამიგია, აქ სიაში შეყვანა-არშეყვანის საკითხი არ არის მნიშვნელოვანი. ჩვენ არ ვყოფილვართ სიაში, მაგრამ ვყოფილვართ ბრძოლის წინა ხაზზე. ამ ბრძოლაში იმიტომ ვართ, რომ შედეგი დავდოთ, ანუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამარცხდეს. ამას სჭირდება გრძელვადიანი, გათვლილი პოლიტიკა და თუ ხედავ, რომ გადაწყვეტილების მიღების სტილით, ქმედებით „ნაცმოძრაობა“ „ქართული ოცნებისგან“ აღარ განსხვავდება, შესაბამისად, მათთან საერთო რა გვაქვს?! გამოდის, მთავარი ამოცანა რაღაც კომფორტი, ოპოზიციში ყოფნა ყოფილა. პოლიტიკაში იმიტომ ვარ, რომ მინდა, შედეგი დაიდოს, ამ ქვეყანაში ადამიანებმა ბედნიერად იცხოვრონ. ამას სჭირდება ორგანიზება. თუ ჩვენ შევქმნით და განვახორციელებთ ქვეყანაში სამართლიანი თამაშის წესებს, რომლებზე მაღლა, პოლიტიკური წონისა თუ გავლენის მიუხედავად, ვერავინ დადგება, მაშინ არის გარანტია, რომ ქვეყანა გახდეს მდიდარი. მე ამისთვის ვიბრძვი. ეს არის ჩემი მიზანი პოლიტიკაში.

- სხვათა შორის, ამას წინათ „ტვ პირველთან“ ინტერვიუში ანა წითლიძემ განაცხადა, რომ მელია, პარტიის თავმჯდომარედ ხაბეიშვილის არჩევის გამო, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაემუქრა თანაპარტიელებს „ნაცმოძრაობის“ დაშლით...

- ეს განცხადება მეც მოვისმენე. ანა წითლიძე ასე იმიტომ ამბობს, რომ, როგორც მას წარმოუდგენია, ერთი და ორი ადამიანი იღებს სადღაც გადაწყვეტილებებს და მერე ვიღაცები ამას ასრულებენ, რაც ჩვენს შემთხვევაში გამორიცხულია. მთელმა საზოგადოებამ ნახა, რომ ამ პროცესში გადაწყვეტილებებს მართლა ინდივიდუალურად ვიღებთ, ეს იგრძნობოდა... მე და ნიკა მელია არ ვართ ბავშვობის მეგობრები, პარტიაში გავიცანით ერთმანეთი და იქ ჩამოგვიყალიბდა თანამშრომლობა, ჩვენი ერთად დგომა განაპირობა იდეურმა თანხვედრამ. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ბრძოლაა, რომელშიც ადამიანებმა ინდივიდუალურად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ანუ ვისაც გაცნობიერებული აქვს, თუ რა ბრძოლაში შემოდის. სწორედ ამ ადამიანებთან ერთობა მიმაჩნია გამარჯვების საწინდრად. ამიტომ ვერ დავეთანხმები ანა წითლიძეს. ჩვენთან გადაწყვეტილებები სხვა წესით მიიღება - მასში ამომრჩეველი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული.

- როგორც გაუღერდა, ახალ პარტიას ჩამოაყალიბებთ...

- ვამბობდით, რომ პარტია არასდროს ყოფილა იდეა, იდეა არის კონკრეტული საქმე და პარტია, ამ შემთხვევაში - ინსტრუმენტი, რომელიც ამ იდეის განხორციელებისთვის უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება პარტნიორებს, ანუ ვინ იქნებიან პარტიაში, მოდით, ამ ეტაპზე სახელების დაკონკრეტებისგან თავი შევიკავოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა იცოდეს ჩვენმა ამომრჩეველმა, ისაა, რომ ამ ახალ პლატფორმაზე თავს მოიყრიან ადამიანები, რომლებიც თავად იღებენ გადაწყვეტილებას, იციან, პოლიტიკაში რატომაც მოვიდნენ, ანუ სჯერათ და გააზრებული აქვთ, ამ ქვეყანას რა სჭირდება უკეთესი მომავლისთვის.

- ოპოზიციურ ფლანგზე გარკვეულ გადაადგილებებს ვხედავთ.

- დღეს ოპოზიციურ ველზე დიდი დუღილის პროცესია, „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული მოვლენები, ბუნებრივია, ამ პროცესის (რომელიც, ვფიქრობ, რაღაც დროის შემდეგ დასრულდება) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ქართულ პროდასავლურ ოპოზიციურ ველზე არის შესაძლებლობა, „დუღილის“ დასრულების შემდეგ საინტერესო კონფიგურაცია დალაგდეს.

- „ნაცმოძრაობიდან“ ნიკა მელიას გუნდის წასვლა რამდენად დააზარალებს ამ პარტიას?

- ცხადია, დააზარალებს არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ პროდასავლურ ოპოზიციურ ველზე ქმნის პრობლემებს, შესაბამისად, გვინდა, ამას წერტილი დაესვას. ჩვენ ამ პარტიის შიდა საკითხები აღარ გვაინტერესებს. მთავარი ამოცანაა, ოპოზიციამ კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად სწორად, შეთანხმებულად, ორგანიზებულად იმოქმედოს. აღსანიშნავია, რომ ნიკა მელია ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი და რეიტინგული ფიგურაა პროდასავლურ ოპოზიციურ ველზე და, ცხადია, პარტია, საიდანაც ასეთი ადამიანი მიდის, დაზარალდება.

- მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის თუ ხედავთ ისეთს, რომელსაც შესწევს უნარი, მესამე ძალად მოგვევლინოს?

- სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში შინაარსისგან დაცლილ სიტყვებს ენიჭება მნიშვნელობა და ამის ატაცება ხდება სოციალურ ქსელში, მედიაში, რომ მესამე ძალა მოდის, მაგრამ ეს ძალა რაღაც შინაარსს ხომ უნდა შეიცავდეს? ამიტომ არ მინდა ასეთი სიტყვების რახარუხი, მე ვამბობ, რაც მინდა პოლიტიკაში და, საერთოდ, პოლიტიკაში იქნება მესამე ძალა, პირველი თუ მეჩვიდმეტე, ეს გადაწყვიტოს ამომრჩეველმა. დღეს ქვეყანას პატიოსანი პოლიტიკოსები, სიტყვის ადამიანები სჭირდება, რომელთა მთავარი ამოცანა იდეისთვის, ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაა.

- საპარლამენტო არჩევნები კვლავ ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის?

- დიდი ალბათობით - კი. ამჟამინდელი მმართველი პარტია არჩევნებს ასე ატარებს, მაგრამ ჩემი სურვილია და მაქსიმალურად შევეცდებით, არჩევნებმა სხვა ფორმატში ჩაიაროს საზოგადოებისთვის მომავალზე გასაგები მესიჯების მიწოდებით. მმართველი პარტიის მიზანი იქნება დაპირისპირება, საზოგადოების დაყოფა იმიტომ, რომ პოლარიზაციაზე დგას „ქართული ოცნება“. ჩვენ თუ შევძლებთ, მათ პროპაგანდას არ ავყვეთ და ჩვენი დღის წესრიგი შევთავაზოთ ამომრჩეველს, მმართველმა გუნდმა რა ტალახიც უნდა ისროლოს, არიდებული იქნება.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიცია ვერ ქმნის დღის წესრიგს. რა არის ამის მიზეზი?

- დიახ, ოპოზიცია ვერ ქმნის დღის წესრიგს იმიტომ, რომ ჯერ თავად არ არის ჩამოყალიბებული - რა უნდა. თუ შენ (ჩემს ყოფილ პარტიაზე ვამბობ) მთავარ საარჩევნო დაპირების სლოგანად გაქვს „ღირსეული სიბერე და პენსია - 600 ლარი“, ეს მიანიშნებს, რომ პოპულიზმის გარდა ყოველგვარი რაციონალიზმისგან დაცლილია ეს მესიჯი და ბრძოლაც მარცხისთვისაა განწირული, რადგან 600-ლარიანი პენსია როგორც კი დაისახა მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, ამბიციის მქონე მესამე პარტიამ 1000-ლარიანი პენსია გააჟღერა. მსგავსი დაპირებები მმართველ პარტიასაც აქვს. აქედან გამომდინარე, ოპოზიციამ ტაქტიკა უნდა შეცვალოს და პოპულისტურ დაპირისპირებებს თავი დაანებოს, თუ სურს არჩევნებში გამარჯვება. ივანიშვილს უნდა ებრძოლო იმ იარაღით, რომელიც არ აქვს, მათ ხელში კი არასდროს ყოფილა სიმართლის იარაღი! შენ მორალური უპირატესობა უნდა გქონდეს, ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ გულწრფელი ხარ. პირველ რიგში, მთავარია სამართლიანი თამაშის წესები, თავისუფალი მართლმსაჯულება, ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, რაც ავტომატურად ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედია.

- უნდა ველოდოთ თუ არა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციური მთავრობის შექმნას?

- თუ ოპოზიცია დროზე არ ჩამოყალიბდება და ვერ გადადგამს ქმედით ნაბიჯებს, კოალიციური მთავრობის შექმნის ალბათობა იკლებს, მაგრამ ამ ქვეყანაში ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლი არის გაცილებით მეტი, ვიდრე „ქართული ოცნების“ მომხრე. ოპოზიცია ვერ ახერხებს ოპოზიციური ამომრჩევლის მობილიზებას იმიტომ, რომ ვერ თანხმდებიან ბევრ რამეში. მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა რესურსით, სუს-ით, მოსყიდვით, თავისი მომხრეების ორგანიზებით და არჩევნებზე მიყვანით. შესაბამისად, ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი მივიდეს საარჩევნო უბანზე, რათა ოპოზიციური ხმები არ დაიკარგოს.

- დაბოლოს, მომავალი არჩევნები რამდენად გადაწყვეტს ქვეყნის ბედს ევროინტეგრაციის გზაზე?

- 2024 წლის არჩევნები უმნიშვნელოვანესი იქნება საქართველოსთვის. ვხედავთ, ჩვენს რეგიონში რა ხდება, დაწყებული სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტით (რომელიც გადაწყდა ისე, როგორც გადაწყდა), გაგრძელებული უკრაინით. დიდი გეოპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ირგვლივ, შესაბამისად, ეს არჩევნები უდიდესი მნიშვნელობის იქნება, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს ამ ქვეყნის ბედი - იქნება თუ არა აქ ბელარუსი. დიდი იმედი მაქვს, რომ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ მას ვიღებთ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ საბოლოო მიზანი ხომ ევროკავშირის წევრობაა. დარწმუნებული ვარ, ეს ქვეყანა ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი, თუ მას ეყოლება დასანქცირებული მოსამართლეები. თუ სისტემა არ შეიცვალა, საქართველოს არაფერი ეშველება. სამწუხაროდ, მმართველი პარტია არ აანონსებს ამ სისტემის შეცვლის აუცილებლობას, არადა - აუცილებელია! ამიტომ ოპოზიციამ დროზე უნდა განსაზღვროს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, სამართლიანი არჩევნები, დაბალი გადასახადები... თუ ოპოზიცია ამ საკითხებზე შეთანხმებას შეძლებს, ამომრჩევლებში გაჩნდება იმედი, რომ ადამიანებს შეუძლიათ თანამშრომლობა და არჩევნებზე ხმას მათ მისცემს. ვიღაცას ეშინია ცვლილების, თუ ის ბუნდოვანია. ამ ბუნდოვანებამ შეიძლება, უფრო უარესი ვითარება შექმნას. ამიტომ ოპოზიციამ ამომრჩეველი უნდა დაარწმუნოს ცვლილებების სიკეთეში. დარწმუნებული ვარ, ცვლილებები დროის მოთხოვნაა. ტრანსფორმაცია, გადაწყობა მიზნისთვის ქვეყანას ააღორძინებს.

„ოპოზიცია ვერ ქმნის დღის წესრიგს იმიტომ, რომ ჯერ თავად არ არის ჩამოყალიბებული - რა უნდა. თუ შენ (ჩემს ყოფილ პარტიაზე ვამბობ) მთავარ საარჩევნო დაპირების სლოგანად გაქვს „ღირსეული სიბერე და პენსია - 600 ლარი“, ეს მიანიშნებს, რომ პოპულიზმის გარდა ყოველგვარი რაციონალიზმისგან დაცლილია ეს მესიჯი და ბრძოლაც მარცხისთვისაა განწირული

ახალი წელი და პიროტექნიკით გამოწვეული საფრთხეები...

რას ფიქრობენ მოქალაქეები?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ახალი წელი პიროტექნიკის გამოყენების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია, მაგრამ ნაკლებად დავფიქრებულვართ, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას როგორც ადამიანებისთვის, ისევე - გარემოსთვის. ადამიანები ზიანდებიან ფიზიკურად. ხშირია ტრავმები, რომლის გამოსწორებაც ზოგჯერ შეუძლებელია. ამ დაზიანებას იწვევს უხარისხო, ან დაბალი ხარისხის ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება

გასული წლის იანვარში, პიროტექნიკის გამოყენების შედეგად, 87 პირი დაშავდა, მათ შორის, 19 არასრულწლოვანი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის პიროტექნიკის მიყიდვა აკრძალულია. პიროტექნიკის და ერთჯერადი ასაფეთქებლების გამოყენება ზიანს აყენებს და ხშირად კლავს კიდევაც ცხოველებსა და ფრინველებს. საახალწლო პერიოდში განსაკუთრებით ზიანდებიან მიუსაფარი ცხოველები, რომლებიც თავშესაფრის გარეშე, ღია ცის ქვეშ არიან. პიროტექნიკის გამოყენებით ზიანი ადგება გარემოს. ფოიერვერკი უმოკლეს დროში იწვევს ჰაერის დაბინძურებას, ტოვებს ლითონის ნაწილაკებს, სახიფათო ტოქსინებს, მავნე ქიმიკატებს და კვამლს, რომელიც ჰაერში შეიძლება საათობით და რამდენიმე დღითაც კი დარჩეს.

2023 წლის 2 დეკემბერს სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა „პეტიცია პიროტექნიკის აკრძალვის შესახებ“, რომლის ავტორიც „Animal Project - პროექტი ცხოველებისთვის“ იყო. პეტიციას ამ დროისთვის 20000-მდე ხელმომწერი ჰყავს, რომლებიც ითხოვენ, სახელმწიფომ პიროტექნიკის ყიდვა-გაყიდვა, ფლობა და გამოყენება მკაცრი რეგულაციების ქვეშ მოაქციოს.

აღნიშნულ თემაზე 2023 წლის მარტში „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა და პარლამენტის წევრმა არმაზ ახვლედიანმა დააინიციერეს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს ჯერჯერობით არ განუხილავს.

რას ფიქრობენ პიროტექნიკის გამოყენებაზე მოქალაქეები?

ნანა გურეშიძე:

- მიზეზი, რის გამოც ხელი მოვაწერე პეტიციას პიროტექნიკის აკრძალვის შესახებ, მარტივია: ვთვლი, რომ მისი შეძენა-გამოყენება ჩვენი უსაფრთხოების თვალსაზრისით, უკონტროლოა. უმრავლეს შემთხვევაში, პიროტექნიკას არ ახლავს უსაფრთხოდ გამოყენების ინსტრუქცია, თუ აქვს, ბევრი არ კითხულობს. ამის შედეგს ახალი წლის პირველივე დღეებში ვხედავთ მომრავლებული უბედური შემთხვევების სახით (სხეულის დაზიანებები, ხანძრები), რომელიც ზოგჯერ ტრაგიკულადაც კი მთავრდება. გარდა ამისა, პიროტექნიკით გამოწვეული ხმაური ძალიან აფრთხობს ცხოველებს. ახალი წლის შემობრძანება ყველას გვიხარია და გვეზეიმება, მაგრამ ვერ ვხვდები, ზოგიერთი რატომ ირჩევს თავისი ან ახლობლის ჯანმრთელობის ფასად მოიწყოს ზეიმი. თუ ადამიანები თავად ვერ ხვდებიან, ყველაზე მაღლა უსაფრთხოება დააყენონ, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მოქალაქეების უსაფრთხოებაზე და აკრძალოს პიროტექნიკის გაყიდვა-გამოყენება.

თამარ უგრეხელიძე:

- პიროტექნიკის გამოყენების წინააღმდეგი ვარ ბევრი მიზეზის გამო. ყველას გვიხარია ახალი წლის შემობრძანება და „პიროტექნიკით“ გალამაზება, მაგრამ ყველამ უნდა გავიხსენოთ გასული წლების არაერთი ფაქტი, როცა მოზარდების ჯანმრთელობა დაზიანდა. მეორე დიდი მიზეზი პიროტექნიკაში შემავალი ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებაა. დღესასწაულები უფრო უსაფრთხოდ შეგვიძლია გავილამაზოთ, რომ მშვიდობიანად ჩაიაროს ყველაფერმა... გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გარემოსაც. მშვიდობიან წელს გისურვებთ ყველას!

გიორგი გოლიაძე:

- ახალი წლის შემოსვლის „პირველი მაცნე“ ქვეყანაში არის ფოიერვერკი, რომელიც განსაკუთრებით პატარებს უყვართ და ახალისებთ, მაგრამ ამ ყველაფრის უკან დიდი საშიშროებაც იმალება. მე ერთ-ერთი ვარ, ვინც პეტიციას მოაწერა ხელი, რადგან ვთვლი, რომ ქვეყანაში უნდა აიკრძალოს ამ საშიშროების გამოყენება. პირადად ვარ მომსწრე, როგორ აუფეთქდა ჩემს მეგობარს ხელში პიროტექნიკა და მძიმედ დაზიანდა, რაც დღემდე ხელს უშლის სრულფასოვან ცხოვრებაში. როდესაც მოქალაქე ვერ იაზრებს საშიშროებას, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ასაფეთქებლების გამოყენებით ცხოველები და ფრინველებიც იღუპებიან. შარშან, ახალი წლის ღამეს, საკუთარი თვალით ვნახე დაღუპული მტრედები, ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება შესაძლებელია პეტიციის განხილვით და შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებით.

ვესაუბრეთ ქალაქ ქობულეთის სამედიცინო ცენტრის ქირურგიული განყოფილების ექიმ **გიორგი ბაბილოძეს,** რომელმაც პიროტექნიკით გამოწვეული დაზიანებები გაიხსენა.

- პიროტექნიკის გამოყენება არის ძალზე სახიფათო. ზეიმი, რომელიც ახალი წლის შემობრძანებას თან ახლავს, ხშირად სავალალოდ მთავრდება. მაგალითად, შარშან 5 წლის ბავშვი დაზიანდა მამასთან ერთად, რომელსაც ხელში აუფეთქდა პიროტექნიკა. პატარას ორი თითის ამპუტაცია დასჭირდა, მამას კი ერთის. ფაქტობრივად, ერთი ოჯახიდან ორი წევრი დაზიანდა. ორი წლის წინანდელი ფაქტის გახსენებაც შემიძლია, როდესაც მთლიანი მტევნის ამპუტაცია გახდა საჭირო. რომელი ერთი შემთხვევა გავიხსენო და ჩამოვთვალო? სამწუხაროდ, ასეთი ძალიან ბევრია. ახალი წელი ახლოვდება და მოსახლეობას მოვუწოდებ სიფრთხილისკენ, ვთხოვ, მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი თავი, ახლობლები და გარემო პიროტექნიკისგან. თუ მაინც გადაწყვეტენ მის გამოყენებას, უნდა გამოიყენონ დიდი სიფრთხილით და იმ ინსტრუქციის დაცვით, რაც პროდუქტზეა დატანილი. განსაკუთრებით მშობლებს მართებთ დიდი ყურადღება. არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ ბავშვს ხელში პიროტექნიკა, რათა თავიდან ავიცილოთ სავალალო შედეგი.

ზურაბ მხეიძე: 8-10 წელი დარჩათ არსებობისათვის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არ შეცვლიან მართვის ძველ სისტემას

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მუდმივი განვითარების საჭიროება და წარმატება 21-ე საუკუნეში, მენეჯმენტის ფსიქოლოგია და კომუნიკაცია ორგანიზაციაში - ამ თემებზე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის სასტუმრო „მერიოტში“ მოწვეულმა ტრენერებმა ალექსანდრე ჯეჯელავამ და ზურაბ მხეიძემ საჯარო ლექცია წაიკითხეს, მისი მიზანი სტუმარმასპინძლობის სფეროში დასაქმებული ადამიანების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და, ასევე, რეგიონში მომსახურების ხარისხის ამაღლება იყო

ტრენერებმა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილეს ყურადღება და დასძინეს, რომ ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანები მუდმივად უნდა ცდილობდნენ ახალი ცოდნის, გამოცდილების მიღებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, ფეხი აუბან თანამედროვე გამოწვევებს. ზურაბ მხეიძის განცხადებით, საქართველოში არსებული მართვის სისტემა ძალიან მოძველებულია.

- ის მართვის სისტემები, რასაც მიჩვეული ვართ და ვხვდებით საქართველოში, ძირითადად 1950 წელსაა ჩამოყალიბებული. მას შემდეგ ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა, მართვის კუთხით არსებულმა სისტემამ კი ვერანაირად ვერ აუწყო ფეხი თანამედროვე ცვლილებებს. მსოფლიოშიც მსჯელობენ იმაზე, რომ ორგანიზაციებში გადაიხედოს ადამიანთან ურთიერთობის მართვა და ის გასწორდეს ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად. მოდის დრო, როდესაც ორგანიზაციას აღარ სჭირდება შემსრულებელი, სჭირდება მოაზროვნე ადამიანი. არ არსებობს კონკრეტული მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს კარგი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თუმცა არის მართვის სხვადასხვა ტიპის მოდელი, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული. მაგალითად, თუ გსურთ, მოდით სამსახურში, არ გინდათ, ნუ მოხვალთ. მთავარია, შედეგი დადოთ. ორგანიზაციები თვითონ ირჩევენ მართვის მოდელს, თუმცა, აქაც ვაწყდებით წინააღმდეგობებს გამომდინარე იქიდან, რომ ვინც მიჩვეულია ტრადიციულ მართვას, მათთვის პოზიტიური ცვლილებებიც კი ძნელად მისაღებია. იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ძველი სისტემით მუშაობენ, მაქსიმუმ 8-10 წელი დარჩათ არსებობისთვის იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელოვნად არ შეცვლიან მართვის სისტემას და არ გადავლენ ახალ რელსებზე, - განაცხადა ფსიქოლოგმა, ასოცირებულმა პროფესორმა ზურაბ მხეიძემ.

აღსანიშნავია, რომ სერვისის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს ტურიზმის სფეროში მომუშავე თანამშრომლების გადამზადებას. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინა ზოიძემ განაცხადა, მათ წელს, სხვადასხვა მიმართულებით, 1000-მდე ადამიანი გადაამზადეს და წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ტრენინგის ჩატარებაა დაგეგმილი.

- ყველაზე მნიშვნელოვანი სერვისის სფეროში არის უშუალოდ ორგანიზაციის დამოკიდებულება დასაქმებულისადმი და პირიქით, დასაქმებულისა როგორც ორგანიზაციის, ისე საქმისადმი, ამიტომაც დეპარტამენტი მთელი წლის განმავლობაში ატარებს ტრენინგებს. რა თქმა უნდა, არსებობს სპეციფიკური ტრენინგები, რომლებიც მორგებულია უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ამა თუ იმ მიმართულებით, თუმცა, წლის ბოლოს შემაჯამებლად გვჭირდებოდა ისეთი ტრენინგი, რომელიც როგორც დასაქმებულს, ასევე მენეჯერს დააფიქრებდა სულ სხვა კუთხით, მისცემდა საშუალებას, გაეაზრებინა ის დამატებითი კომპონენტები, რაც შესაძლებელია, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოკვეთილი არ იყოს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, როგორიცაა კომუნიკაცია მენეჯმენტში, ის, თუ როგორ ხდება მოტივაციის ამაღლება. არაერთი თანამედროვე მიდგომა არსებობს, რომლითაც შესაძლებელია ადამიანების მოტივირება და იმ საქმეში, რომელსაც ისინი აკეთებენ, პოზიტიური განწყობის შეტანა. კიდევ ერთხელ უნდა გადავავლოთ თვალი ჩვენს საქმიანობას როგორც მენეჯერებმა, ასევე, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა და კარგად გავიაზროთ, რამე ხომ არ არის ისეთი, რაც საკუთარ თავში უნდა შევცვალოთ. ტურიზმის სფერო ძალიან სწრაფად ვითარდება, სერვისი იხვეწება და ადამიანების მოთხოვნებიც, რომლებიც ამ სერვისებით სარგებლობენ, მუდმივად იცვლება. შესაბამისად, ამ ყველაფერს ფეხი რომ აუწყო, მენეჯმენტში, კომუნიკაციაში და ყველა საკითხში გვჭირდება, რომ მათზე სწრაფი ვიყოთ, რათა მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. ტრენინგების საშუალებით ვცდილობთ ადამიანებს გავუზიაროთ ის დიდი გამოცდილება, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, ავუხსნათ, რას ითხოვს მომხმარებელი, რა სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს მენეჯერმა და დასაქმებულმა. რა თქმა უნდა, ჩვენ სექტორთან ერთად შევეცდებით, ამ ყველაფერზე დავფიქრდეთ, ვიმუშაოთ და მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებით დავგეგმოთ, - აღინიშნა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ.

ლექციებზე გიდებმა, ტურისტული საგენტოების, განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებმა ტრენერებისგან მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები მოისმინეს, აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მათ ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია სფეროში მიმდინარე სიახლეებზე.

- მართვის მიმართულებით არამხოლოდ ტურიზმში, არამედ ნებისმიერ სფეროში, მთავარი გამოწვევაა ურთიერთობა ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის. რომ გადავხედე ჩემს გამოცდილებას, ყოველთვის ვანიჭებდი უპირატესობას ისეთ ხელმძღვანელს, რომელთანაც მქონდა ემოციური კავშირი, რაც ჩემთვის და, ვფიქრობ, თითოეული ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ საქართველოში სერვისის კუთხით, დიდი პრობლემა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტრენინგი და სწავლება ტარდება. ეს, ალბათ ჩვენი მენტალიტეტის ბრალიცაა, რადგან არცთუ დიდი ხნის წინ ჩავერთეთ მომსახურების სფეროში. რამდენიმე წლის წინ, მაგალითად, მიმტანად მუშაობა სირცხვილი იყო, მაგრამ დღეს ერთ-ერთი მოთხოვნადი პოზიციაა, განსაკუთრებით - ახალგაზრდებში, თუმცა, აქაც საკუთარ თავზე ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ მათ მიერ მოწოდებული სერვისი იყოს ხარისხიანი. დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ტრენინგები, სწავლებები ემსახურება იმას, რომ ვისწავლოთ ახალი მიდგომები და პრაქტიკაში გამოვიყენოთ, - გვითხრა გიდმა, ტურიზმის მენეჯმენტის სტუდენტმა თამარ ხოზრევანიძემ.

„რატომ ვისწრაფვით ადამიანები სრულყოფილებისკენ, თუ ის მიუღწეველია?“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წარმატებული ბათუმელი ფოტოხელოვანი ელენე კურტანიძე აჭარის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ოთხი კონკურსის გამარჯვებულია. დღეს იგი ამ კონკურსების მნიშვნელობაზე, მიზნებსა და შედეგებზე გვესაუბრება

- ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული კონკურსები მნიშვნელოვანი პლატფორმაა, რომელიც აძლიერებს ხმას ქალთა უფლებებისთვის. ისინი ემსახურებიან ქალების მრავალმხრივი პრობლემების გამომზეურებას და მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. შედეგები, რომელიც აშკარაა ჩემი და სხვების გამარჯვებებით, აჩვენებს ამ პრობლემების გადაჭრის მზარდ ერთგულებას. საზოგადოებაში, სადაც ქალთა უფლებები ირღვევა, პრობლემები ღრმა და მრავალფეროვანია: გენდერული დისკრიმინაცია, განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დასაქმების არათანაბარი შესაძლებლობები (ფართოდ გავრცელებული). ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ რჩება სერიოზულ დაბრკოლებად, რომელიც ხშირად ფესვგადგმულ კულტურულ ნორმებშია. კონკურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილებაში, დიალოგის ხელშეწყობასა და მნიშვნელოვანი ცვლილებების სტიმულირებაში.

- უშუალოდ ამ კონკურსსა და მის მონაწილეებზე რას გვეტყვით?

- ახლა ჩატარებული კონკურსი მიეძღვნა 16-დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. კონკურსები ფოკუსირებულია ქალებსა და მათ პრობლემურ საკითხებზე. ის იზიდავს მონაწილეთა მრავალფეროვან ჯგუფს, რომლის წევრები ჩართულები არიან ქალთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტასა და ცნობიერების ამაღლებაში.

- რა განასხვავებს ჩატარებულ კონკურსებს ერთმანეთისგან? რა პრობლემამ იჩინა თავი, რომლის გადაწყვეტაც საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს?

- ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებულ თითოეულ კონკურსს აქვს უნიკალური აქცენტი - დაწყებული ქალთა უფლებების კონკრეტული ასპექტების ხაზგასმით და დამთავრებული ფართო სოციალური საკითხებით. თემების მრავალფეროვნების მიუხედავად, საერთო მახასიათებელია ქალთა პრობლემებისადმი ყურადღება და მათი გადაჭრის გადაუდებელი აუცილებლობა. ამ პროცესში ცხადი გახდა, რომ ქალების წინაშე არსებული პრობლემების ურთიერთდაკავშირებული ბუნება მოითხოვდა საერთო მიდგომას. პროგრესის მიუხედავად, მუდმივი გამოწვევაა ღრმად ფესვგადგმული კულტურული ნორმების არსებობა. ამ კონკურსების არსებობა ხაზს უსვამს კოლექტიური ძალისხმევის აუცილებლობას ამ დაბრკოლებების დასაძლევად.

- რა ფაქტორმა განაპირობა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის თქვენი ნამუშევრების მიძღვნა?

- მთავარი ფაქტორი, რომელიც შთამაგონებს, დავწერო სოფლად მცხოვრებ ქალთა ცხოვრებაზე, ისეთი გამოწვევებია, როგორიცაა, მაგალითად, რესურსებზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მათ ისტორიებზე საუბრით, მიზნად ვისახავ, გავაძლიერო მათი ხმა, ხაზგასმით აღვნიშნო მათი გამძლეობა. ეს არის შეგისახავს ცნობიერების ამაღლებას და გენდერულ ძალადობასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანი ქმედებების შთაგონებას.

- მსგავს კონკურსებში მონაწილეობა პიროვნული განვითარებისთვის რა პერსპექტივას ქმნის?

- მათში მონაწილეობა ავითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა ადვოკატირება, კრეატიულობა და ეფექტური კომუნიკაცია, რაც ხელს უწყობს ქალთა საკითხების უფრო ღრმა გაგებას. გარდა ამისა, იმაზე უფრო დიდ საქმეში წვლილის შეტანის გამოცდილება, ვიდრე მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაა, აძლიერებს თანაგრძნობას, გამძლეობას და სოციალურ პასუხისმგებლობას. საბოლოოდ, კონკურსებში მონაწილეობა არა მხოლოდ აძლიერებს პროფესიულ უნარებს, არამედ ხელს უწყობს პიროვნების უფრო ღრმა და ყოვლისმომცველ განვითარებას.

- როგორც არაერთ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილემ, რა დაასკვენით ამ პროგრამების აქტუალობასა და ეფექტურობაზე?

- სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობამ ხაზი გაუსვა მსგავსი ინიციატივების უდავო აქტუალობას და ეფექტურობას. ეს პროგრამები არის ფასდაუდებელი პლატფორმა ცოდნის შეძენის, უნარების განვითარებისა და სხვადასხვა საკითხის კიდევ უფრო უკეთ გაგებისთვის. ამ გამოცდილების ინტერაქტიური და ღრმა ბუნება არა მხოლოდ აძლიერებს აკადემიურ უნარებს, არამედ ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრას, რაც საჭიროა დღევანდელი სამყაროს სირთულეებში ნავიგაციისთვის. ფაქტობრივად, კარგად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნულ და პროფესიულ ზრდაში.

- ქალთა უფლებების დასაცავად და ამ კუთხით ცნობიერების ასამაღლებლად რომელ რეგიონებშია განსაკუთრებული სამუშაო ჩასატარებელი, რა ქმედით ღონისძიებებს უნდა მივმართოთ?

- თავდადებული ძალისხმევა გადამწყვეტია ისეთ რეგიონებში, სადაც ქალთა უფლებები აწყდება მზარდ გამოწვევებს, ხშირად შეზღუდული რესურსების ან კულტურული ბარიერების მქონე ადგილებში. ვფიქრობ, ამ ეტაპზე განსაკუთრებული სამუშაო კონფლიქტის ზონებშია ჩასატარებელი. ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ინიციატივების პრიორიტეტიზაცია, ქალთა უსაფრთხოებისა და უფლებების უზრუნველყოფა ადვოკატირებისა და სამართლებრივი მხარდაჭერა. კონკრეტულ რეგიონულ საჭიროებებზე ინტერვენციების მორგებით, ჩვენ შეგვიძლია, შევქმნათ უფრო ეფექტური და მიზანმიმართული მიდგომა ქალთა უფლებების დასაცავად და გრძელვადიანი ცვლილებების ხელშეწყობისთვის.

- როცა ქალთა რეალურ ცხოვრებას ეცნობით, რა არის ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს?

- მთავარი პრობლემა გენდერული ძალადობის გავრცელებული და მუდმივი ბუნებაა. ის სცილდება გეოგრაფიულ საზღვრებს და ვლინდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ფიზიკური, ემოციური და ეკონომიკური ძალადობით. ამ პრობლემის მოგვარება მოითხოვს მრავალმხრივ ძალისხმევას, რომელიც მოიცავს სამართლებრივ რეფორმებს, ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და მხარდაჭერის სისტემებს ქალების გაძლიერებისა და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად.

- შემდგარ პიროვნებად ვის მიიჩნევთ, რომელიც სამაგალითო და გზამკვლევია თქვენთვის?

- რთულია, დავასახელო, კონკრეტულად ვის მივიჩნევ შემდგარ პიროვნებად, ვინაიდან ეს საკმაოდ ფართო ცნებაა. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც იპოვა თავისი ნიშა მის გარშემო არსებულ სამყაროში, აქვს საკუთარი აზრი და იცის, როგორ დაიცვას იგი თანამოსაუბრის დამცირების გარეშე, მიაღწია ექსპერტის დონეს თავის სფეროში, აქვს სურვილი, მოთმინება და ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების გამოცდილება, არ განიცდის უკმაყოფილებას და კომპლექსებს, იცის როგორ აღიაროს და გამოასწოროს თავისი შეცდომები, ღიაა ახალი ინფორმაციისთვის და კმაყოფილია მისი ცხოვრების ფორმირებით, შეიძლება ჩაითვალოს შემდგარ პიროვნებად და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი პროფესიისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენელია.



- თვისება, რომელიც ადამიანს ყველაზე კარგად წარმოაჩენს და სრულყოფს... როგორ ფიქრობთ, როგორი ადამიანების გარემოცვაში ვცხოვრობთ... თავად - თქვენ?

- ვფიქრობ, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინირებული ადამიანი. ხშირად ამბობენ, რომ დისციპლინა ასახავს ადამიანის შინაგან სტრუქტურას. თუ ადამიანს აქვს დისციპლინა, ეს შეიძლება მიუთითებდეს მის თვითკონტროლის, წესრიგის შენარჩუნების უნარზე, ასევე მიზნების მიღწევის სურვილზე. ეს ასპექტები ახასიათებს ადამიანს მისი პასუხისმგებლობისა და ორგანიზებულობის კონტექსტში. ჩვენ ვცხოვრობთ მრავალფეროვან საზოგადოებაში, სხვადასხვა კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წარმოშობის ადამიანებს შორის. ჩვენი გარემო მოიცავს სხვადასხვა შეხედულებისა და ღირებულების მქონე ადამიანებს, რაც ჩვენს საზოგადოებას დინამიკურს და მრავალფეროვანს ხდის. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, ყველაზე კარგად ტოლერანტობა წარმომაჩენს. ის ასახავს ჩემს უნარს, გავიგო და მივიღო განსხვავებები სხვა ადამიანების მოსაზრებებში, კულტურასა და ცხოვრების წესში. ასეთი თვისებები ხელს უწყობს ჰარმონიულ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და დადებითად მოქმედებს მთლიანად საზოგადოებაზე.

- ბათუმი - დღეს, როგორ გესახებათ მისი მომავალი?

- სანაპირო ქალაქებს აქვთ უნიკალური ხიბლი და მიმზიდველობა. ხალხის სითბოსა და სტუმართმოყვარეობას ნამდვილად შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მცხოვრებლებისა და ვიზიტიორების საერთო, ჰარმონიულ თანაცხოვრებაში. ქალაქის განვითარებასთან ერთად, საზოგადოების ჩართულობა და ღიაობა მისასალმებელია, ასეთი ატმოსფერო გადამწყვეტ როლს თამაშობს ნათელი და მიმზიდველი მომავლის ჩამოყალიბებაში. ვიმედოვნებ, ქალაქი გააგრძელებს განვითარებას და დარჩება ყველასთვის ლამაზ და სტუმართმოყვარე ადგილად.

- დაბოლოს, რას ჰკითხავთ საკუთარ თავს? გაქვთ პასუხგაუცემელი კითხვები?

- რა თქმა უნდა, მეც ისევე, როგორც ბევრ სხვას, მაქვს პასუხგაუცემელი კითხვები. ჩემთვის ყველაზე საინტერესოა და, ალბათ, ვკითხავდი: რატომ ვისწრაფვით ადამიანები სრულყოფილებისკენ, თუ ის მიუღწეველია?

როსტომ ლორთქიფანიძე: პრიორიტეტებს მოსახლეობის წარმომადგენლები ირჩევდნენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში საჯაროდ წარადგინა, რის შემდეგაც მასთან ინტერვიუც ჩავიწერეთ.

- ჩვენი მუშაობა იმ კურსით წარიმართება, რომელსაც ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობა ადგას. ყოველდღიურ საქმედ ვაქციეთ ამომრჩეველთა მოთხოვნების, მათთვის წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შესრულება. სამუშაო ოფისები მოქალაქეებისთვის ყოველთვის ღიაა, არ გვაქვს დაწესებული მიღების დღეები და საათები. ხშირად გავდივართ სოფლებში, დასახლებულ უბნებსა და მაღალ მთებში, ადგილზე ვაგვარებთ მოსახლეობის პრობლემებს.

- წარმომადგენლობითი ორგანო სხვა მხრივაც უნდა იყოს წარმოჩენილი...

- 11 თვის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 12 სხდომა, აქედან 11 მიმდინარე და 1 რიგგარეშე. 67 პროექტი განვიხილეთ და შესაბამისი დადგენილება თუ გადაწყვეტილება მივიღეთ. საკრებულოს ბიუროს 12 სხდომაა ასევე ჩატარებული. გამორჩეული ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მონიტორინგს. საკრებულოს სხდომების გამართვის შესახებ საჯარო ინფორმაცია დროულად ქვეყნდებოდა და ყველა მსურველს ჰქონდა მასზე დასწრების, საჭიროების შემთხვევაში, წინადადებებისა და სურვილების გამოთქმის საშუალება.

- წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა უშუალო კავშირშია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან.

- საკრებულოში 7 მაჟორიტარი დეპუტატი ვართ. აღმასრულებელ სტრუქტურებთან ერთად, უშუალოდ ვიღებთ პასუხისმგებლობას ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და შესრულებაზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ საავტომობილო გზებს კვიახიძეებში, ლომსიანეთში. წყალსაყრის, ჭვანის, ბარათაულის, შუბნის, დღვანისა და ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდასასოფლო გზები კეთილმოეწყო. მოშანდაკდა და ბეტონის საფარი დაიგო საცხოვრებელთან მისასვლელ გზებზე ლომანაურში, ბარათაულში, ნენიაში, ტბეთში, ქიძინიძეებში. მეწყერსაწინააღმდეგო ჯებირები მოეწყო როგორც საცხოვრებელ სახლებთან, ასევე გზის სავალ ნაწილებზე ნენიაში, ფურტიოში, ოქროპილაურში, წყاროთაში, ჯუმუშაურში, დაბაძველში, ახალდაბაში, ბრილსა და კიდევ რამდენიმე სოფელში, ფანჩატურები – ჩირუხის, ღომას, ჯვარიმინდორისა და ჯანჯღნარის მთებში, სოფელ ჯაბნიძეებში, მოსაცდელები – სხეფი-გომარდულის, ჩირუხი-შუბნის საავტომობილო გზებზე, სოფელ სამოლეთსა და გომარდულში. სანიაღვრე, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები მოეწყო და შეკეთდა ხაბელაშვილებში, ლომსიანეთში, ჭვანაში, ნიგაზეულში, მაწყვალთაში, უჩამბაში, ფურტიოში, დაბა შუახევში...

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მობილიზებული თანხების განკარგვა როგორ მიმდინარეობს?

- ყველა სოფელში გამართულ მეკომურთა კრებებს საკრებულოს წევრები და ხელმძღვანელები ვესწრებოდით. პრიორიტეტებს მოსახლეობის წარმომადგენლები ირჩევდნენ, სათანადო დოკუმენტებიც ფორმდებოდა.

- მოსახლეობა, მთის სპეციფიკიდან გამომდინარე, თანადგომას, დახმარებას ითხოვს. მის მოთხოვნებზე როგორ რეაგირებთ?

- ჩემთვის ადამიანური პრობლემები უცხო არაა. ხალხის წიაღში, კაცთმოყვარე ოჯახში გაზრდილმა ვიცი, რა უჭირს ხალხს და მუდამ ვცდილობ, მიღებაზე მოსულ მოქალაქეს დავეხმარო. როცა ჩემს კომპეტენციას სცილდება, მეგობრებსაც კი ვაწუხებ და მათ თხოვნას უყურადღებოდ არ ვტოვებ. საკრებულოში 300-ზე მეტი მოქალაქე მივიღე, მოვისმინე მათი პრობლემები და შეძლებისდაგვარად დავეხმარე კიდეც. გარდა ამისა, პირადი ინიციატივით ვიმყოფებოდი 25-ზე მეტ სოფელში და შევხვდი მოსახლეობას.

- ხშირად ესწრებით სახალხო დღესასწაულებს, სხვა მასობრივ ღონისძიებებს და საზოგადოებას სიტყვით მიმართავთ...

- ამგვარ ღონისძიებებზე გამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იქ დამსწრეთა უმრავლესობა გისმენს, ნათქვამს იმახსოვრებს. სახალხო დღესასწაულებსა და ფესტივალებთან ერთად, 18-ზე მეტი სპორტული ღონისძიება ჩავატარეთ, რომლებზეც ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები წარმატებით გამოვიდნენ. სკოლებშიც დავესწარი 30-ზე მეტ ღონისძიებას. აღსანიშნავია, რომ მედიაპროექტ „ეტალონის“ 2023 წლის გამარჯვებული საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის XI კლასის მოსწავლე მამუკა ცინცაძე გახდა. ბიბლიოთეკის კვირეულის ფარგლებში ვეწვიე დღვანის, ქიძინიძეების, კვიახიძეების, ლომანაურისა და გოგინაურის სკოლებს და გადავეცი სამართლის დოქტორ, პროფესორ ედიშერ ფუტკარაძის წიგნი „ჩემი მოსაზრებები, პუბლიცისტიკა და პოეზია“. განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს სტუდენტების მიმართ. ერთია, იზრუნო ადგილზე მყოფ ახალგაზრდებზე, მოსწავლეებზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სხვადასხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში მყოფ სტუდენტებს. სწორედ ამიტომ შევხვდი, მოვისმინე პრობლემები, იდეები, ვისაუბრეთ განსახორციელებელ საერთო საკითებზე.

- რამდენიმე საქველმოქმედო აქციის ინიციატორი ხართ...

- წლის განმავლობაში ტარდებოდა საქველმოქმედო ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობდა საკრებულოს წევრთა უმრავლესობა, ასევე, ჩემი მეგობარი ბიზნესმენები. უდიდეს მადლობას ვუხდი მათ ამ სასიკეთო საქმეში თანამონაწილეობისთვის. საკუთარი ოჯახის ინიციატივით დავეხმარე ორი სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს. მსგავს აქტივობებს კვლავ ვგეგმავ ოჯახთან ერთად, რათა მცირედი წვლილი შევიტანო ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობაში.

- ქვეყნისა და რეგიონის სახელისუფლებო ორგანოების მხარდაჭერასა და თანადგომაზეც გვითხარით...

- განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტურიზმის განვითარებას. გაიხსნა ახალი ტურისტული ლოკაციები მთა ღომაზე, ჯვარიმინდორზე, განახლდა ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზები და ბილიკები, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოებს პერიოდულად ადგილზე ვეცნობოდი. ვსტუმრობდი ადგილობრივ მეწარმეებს. ისინი როგორც ადგილობრივი, ასევე, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები არიან და თავიანთი წვლილი შეაქვთ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაში. უნდა გამოვყო ის თანადგომა და მხარდაჭერა, რომელიც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ და ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ხელმძღვანელმა რაულ თავართქილაძემ გაგვიწიეს სარწყავი არხების რეაბილიტაციისას. საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის საქმეში დიდია მამუკა თურმანიძისა და როლანდ ბოლქვაძის თანადგომა. აქვე მინდა კეთილი საქმეები დავუფასო მაჟორიტარ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში ანზორ ბოლქვაძესა და ფრიდონ ფუტკარაძეს. შუახევში იმყოფებოდნენ საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირების პრეზიდენტი ირინე ფხოველიშვილი და სპეციალისტი ნიკა ჯავაშვილი. ისინი შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ და მოუსმინეს. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ სამინისტროს 2024 წლის პროგრამები გაგვაცნო. საინტერესო და საქმიანი შეხვედრა ჰქონდა შუახევში საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანს. მან წარმოადგინა ახალი პროექტები და ადგილობრივ ფერმერებს კონკურსებში მონაწილეობის გამარტივებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდა. შუახევში ოფიციალური ვიზიტით იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იშიძუკა ჰიდეკი იმყოფებოდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები მიმოვიხილეთ და გამოვთქვით მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობისთვის. მადლობა გადავუხადეთ იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტის „სანიტარიული დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება შუახევის მუნიციპალიტეტში“ დაფინანსებისათვის, რომლითაც ნარჩენების შემგროვებელი მანქანა შევიძინეთ.

- უცხოეთშიც გქონდათ სამუშაო ვიზიტი...

- მაისში შუახევის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის რესპუბლიკის ტშენიცას ოლქს შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ვიმყოფებოდი პოლონეთში მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძესთან, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძესთან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად. პოლონელებთან მეგობრობა გრძელდება.

ეშრეფ ილმაზი მახარაძე: – ქართველობის, როგორც ეროვნულობის მცნება, განვითარების ახალ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები დღითი დღე ინტერესდებიან ქართული წერა-კითხვის შესწავლით. ჯერ თავად სწავლობენ ქართულს და შემდეგ ქართული კულტურის, ქართული ენის ცენტრებს აარსებენ. ზოგმა ქართულ და თურქულ ენებზე წიგნების გამოცემაც დაიწყო. მათ შორისაა ეშრეფ ილმაზი, უკვე გოდერძი მახარაძე. 70 წელს გადაცილებული, ბოღაზიჩის უნივერსიტეტში ქართული ენის ლექტორად მუშაობს და მშობლიური ქართული ენის პოპულარიზაციას ეწევა

- დავიბადე ქალაქ ართვინში, 1950 წელს. თურქული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ანადოლუს უნივერსიტეტში დავამთავრე. სხვადასხვა სკოლაში სპეციალობის მიხედვით ვიმუშავე. 16 წელი სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში გავატარე. ამ წლებს უქმად არ ჩაუვლია, ვარ 3 წიგნის ავტორი. ქართულიდან თურქულ ენაზე ვთარგმნე დავით მაღრაძის ლექსების კრებული „სალვე“ და „ჯაკომო პონტი“. 2008 წლის აპრილში საფუძველი ჩავუყარე ქართული კულტურის ცენტრს, 2014 წლის ნოემბერში სტამბოლში დავაარსე ქართული ენის ცენტრი და სათავე დავუდე ქართული ენის ცენტრის ბიულეტენების გამოქვეყნებას.

- უკვე სამზეოზეა თქვენი ახალი წიგნი „ილიას კვალზე“, რომელიც ორენოვანია.

- ამ წიგნის წერა 17 წლის წინ დავიწყე. პენსიონერმა პედაგოგმა მიზნად დავისახე, ქართული ენის სამსახურში ჩავმდგარიყავი, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა დამეწყო. პირველ რიგში, მშობლიური დედაენა შევისწავლე. თურქეთში გვყავდა ილია ჭავჭავაძის სადარი პიროვნება ახმედ ოზქან მელაშვილი. მან დიდ ეროვნულ საქმეებს დაუდო სათავე. მისი მოღვაწეობა მიმართული იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისკენ, რაც, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიე, წიგნის სათაური ყოფილიყო „ილიას კვალზე“. ეს წიგნი პირველი ცდაა, შესაძლოა, ხარვეზებიც ჰქონდეს, მაგრამ იმედია, მომავალში გამოვასწორებთ.

- საკმაოდ შინაარსიანი იყო თქვენი გამოსვლა 17 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიასპორის კონფერენციაზე. ქართველმა საზოგადოებამ მაშინ გაგიცნოთ.

- სიტყვა მოკითხვით დავიწყე. თურქეთის ქართველების სახელით მაშინ საზოგადოებას გავაცანი ჩემი იდეა ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი კურსების გახსნის შესახებ. პირველად გავახმიანე „საქართველოს თანამეგობრობის ასოციაციის“ საქმიანობა, აღვნიშნე თბილისელ პედაგოგ მანანა გურგენიძის დამსახურება, რომელიც სტამბოლში ქართულ ენას ასწავლიდა. მოვითხოვე, რომ ჩვენთვის ძვირფასი სიტყვები „საქართველო“ და „ქართველი“ თურქებსაც ანალოგიურად გამოეთქვათ და არა როგორც „გურჯისტანი“ და „გურჯი“.

იხ. მე-7 გვ.

ენვერ ხაბაძეს ძეგლი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველოსა და აჭარის დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახალხო არტისტს, მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, ცნობილ ქორეოგრაფ ენვერ ხაბაძეს ბათუმის ზღვისპირა პარკში ძეგლი გაუხსნეს, რომლის ავტორი მოქანდაკე გიორგი კიკვაძეა

ძეგლის გახსნამდე საზაფხულო თეატრში ამ შესანიშნავი ქორეოგრაფის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომლითაც ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ბათუმმა“ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები აჩუქა მრავალრიცხოვან მაყურებელს.

საღამო მსახიობ ზაალ გოგუაძეს მიჰყავდა, რომელიც დროდადრო ენვერ ხაბაძის მიერ განვლილ მდიდარ და ნაყოფიერ შემოქმედებით გზას შეახსენებდა შეკრებილთ. საინტერესო იყო ბატონი ენვერის მოგონებები, ჩანაწერები, რომლებსაც ეკრანზე ვიდეოების საშუალებით ეცნობოდნენ.

ენვერ ხაბაძე ბათუმში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა და როგორც ამბობდა, ხალხური ხელოვნების სიყვარულს სწორედ ოჯახში ეზიარა. „შუამთობა იყო ჩემი მასწავლებელი“, - ამბობდა ის.

მშობლიური აჭარა, მთლიანად საქართველო ამაყობს ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლით, სამი ქართული ცეკვის ავტორით. მისი ღვაწლი ქართულ ქორეოგრაფიაში არ შემოიფარგლება მის მიერ დადგმული 100 ცეკვით. ის წარმატებით თანამშრომლობდა ქართული კინოსა და თეატრის მესვეურებთან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1945 წელს განხორციელებული, შოთა რუსთაველის პოემის ორიგინალური, შთამბეჭდავი საცეკვაო კომპოზიცია - „ქაჯეთის ციხის აღება“, რომელშიც ქართული ცეკვებითა და საკუთარი შემოქმედებითი ფანტაზიით ხარკი გადაუხადა უდიდეს პოეტს.

მის მიერ შექმნილი აჭარული ქალვაჟიანი - საუცხოო „განდაგანა“ ოქროს ასოებით ჩაეწერა ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში, ვაზის წნულივით ჩაეხვია, ჩაგვირისტდა... 1945 წლის 21 თებერვალს ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე მაყურებელმა პირველად იხილა ეს საოცარი ცეკვა, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ქართული ცეკვების რეპერტუარი. 2019 წელს ცეკვა „განდაგანას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი რომ მიენიჭა, ეს, გარკვეულწილად, ბატონი ენვერის უდიდესი დამსახურებაა.

დიდხანს მწიფდებოდა მის გონებაში კიდევ ერთი შესანიშნავი ცეკვა - „აჭარული სიუიტა“, რომლის განხორციელება ანსამბლ „ბათუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელ თემურ ბოლქვაძეს ეკუთვნის. მან რუდუნებითა და დიდი სიფრთხილით იმუშავა ქორეოგრაფების ჯგუფთან, თითოეულ შემსრულებელთან და ბატონი ენვერის ნააზრევი და ხელწერა მიიტანა როგორც მოცეკვავეებთან, ისე მაყურებლებთან.

ენვერ ხაბაძეს არ უყვარდა სტანდარტი, ამიტომაც გამოირჩევიან მისი გაზრდილი მოცეკვავეები და ქორეოგრაფები თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებით.

ენვერ ხაბაძე 21 წლის იყო, როცა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მთავარ ქორეოგრაფად მიიწვიეს, რომელსაც მაშინ მელიტონ კუხიანიძე ხელმძღვანელობდა. აქ თითქმის ნახევარი საუკუნე იღვაწა და ამ დროში ანსამბლმა არაერთხელ მოიარა ტრიუმფით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა.

კიდევ ერთი ქორეოგრაფიული ნიმუში ეკუთვნის ბატონ ენვერს - „ლაზ მებადურთა ცეკვა“, რომელიც 1947 წელს ლაზეთში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა. ამ საუცხოო ცეკვას ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი აღფრთოვანებულები უკრავდნენ ტაშს. მათ სწორედ ამის შემდეგ შესთავაზეს ენვერ ხაბაძეს სუხიშვილების ანსამბლში სამი ცეკვის - „ლაზურის“, „გადახვეული ხორუმისა“ და „განდაგანის“ დადგმა.

ჩვენი კუთხის უნიჭიერესმა ქორეოგრაფმა ხელოვნების დიდ ვარსკვლავებთან ითანამშრომლა, მათ შორის, ილიკო სუხიშვილთან, დავით მაჭავარიანთან, სოლიკო ვირსალაძესთან, არჩილ ჩხარტიშვილთან, შალვა მშველიძესთან, ბიძინა კვერნაძესთან, შოთა მილორავასთან...

1992 წელს, ბათუმის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს კიდევ ერთი საინტერესო ქორეოგრაფიული ანსამბლი შეემატა - „ბათუმი“. ნოდარ სურმანიძის თაოსნობითა და ენვერ ხაბაძის ხელმძღვანელობით შესანიშნავი ჯგუფი შეიკრიბა. დღეს ეს ანსამბლი დამსახურებულად ატარებს მის სახელს. ბატონი ენვერის გაზრდილები არიან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი თემურ ბოლქვაძე, მთავარი ქორეოგრაფი შალვა გოგუაძე, რეპეტიტორ-ქორეოგრაფები მირანდა ბაღდადიშვილი, ნუგზარ მიქაძე. ისინი შესაშური ერთგულებით მიჰყვებიან ქართული ცეკვის ტრადიციებს, ამასთან, საინტერესო შემოქმედებითი აზროვნებითაც ამრავალფეროვნებენ.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი, ვეტერანი მოცეკვავე ჯემალ ჩიჩუა, ენვერ ხაბაძის შთამომავალი ჯაბა სალუქვაძე, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის დირექტორი, ანსამბლ „ბათუმის“ ყოფილი მოცეკვავე ირაკლი შაფათავა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. ანსამბლ „ბათუმის“ მიერ შემოთავაზებულ ცეკვებს შორის იყო „სადარბაზო“, „მოხეური“, „ნარნარი“, „თუშ ქალთა ცეკვა“, „ფარიკაობა“. სცენა ასევე დაამშვენა ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმმა“ და ვეტერან მოცეკვავეთა გამოსვლამ...

მართლაც, გრანდიოზული კონცერტის შემდეგ, ყველა გარეთ მიიპატიჟეს იქვე, საზაფხულო თეატრის გვერდით, სადაც სამი უკვდავი ცეკვის ავტორს არაჩვეულებრივი ძეგლი გაუხსნეს.

ეშრეფ ილმაზი მახარაძე: – ქართველობის, როგორც ეროვნულობის მცნება, განვითარების ახალ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ

მე-6 გვერდიდან

- სტამბოლში ქართული კულტურის და ქართული ენის ცენტრები თქვენი ინიციატივით დაარსდა. მათ როლსა და მნიშვნელობაზე რას გვეტყვით?

- ქართული კულტურის ცენტრის დაარსებით თურქეთში მცხოვრები ქართველები, გაეროს შეთანხმებაზე დაყრდნობით, სიტყვის უფლებისა და თავისუფლების აღიარების დაცვის მოთხოვნებს შევუერთდით, რაც აუცილებელი იყო. ახმედ მელაშვილის მიერ დაწყებული ქართველობისა და დედასამშობლოს გაცნობის საქმე, მაშინაც და ახლაც, მაღალ საფეხურზე აყვანას მოითხოვს. თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების განხილვისას, როცა ვეხებით ენისა და კულტურის პრობლემებს, შეუძლებელია, არ ვთქვათ ენის ასიმილაციის შესახებაც. ქართული ენა ბუნებრივ ასიმილაციას განიცდის და ეს აისახება „ქართული კულტურის ცენტრზეც“ და ადგილობრივ ინტელიგენციაზეც. თანამედროვე ემიგრანტები ენისა და კულტურის დაცვის მხრივ გაცილებით რთულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ადრინდელი მუჰაჯირები. ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენ ვართ, ვინც ვსაქმიანობთ სტამბოლში, ბურსაში, სინოპში, ბალიქესირში, ადაფაზარსა და სხვა ქალაქებში. ქალაქური ცხოვრების სწრაფი რიტმი გავლენას ახდენს ენის, კულტურისა და ტრადიციების სიწმინდეზე. ქართველობის, როგორც ეროვნულობის, მცნება განვითარების ახალ სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია ენის არდავიწყებაზე, მის სწავლებაზე, გავრცელებასა და დაცვზე ზრუნვა. მომავალ თაობებს მდიდარი ქართული კულტურა უნდა გავაცნოთ. ერის კულტურა რომ გაიცნო, პირველ რიგში, მისი ენა უნდა იცოდე.

- დედაენაზე თქვენი შეხედულება...

- დიდი შენაძენია, რომ ქართველებს გვაქვს დედაენის დღე - 14 აპრილი. მე დედაენას ასეთი განმარტება მივუსადაგე: დედაენა თავდაპირველად და უახლოესი გარემოდან, შემდეგ კი გარშემო წრესთან ურთიერთობებიდან, საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში ჩამოყალიბებული ქვეცნობიერია. ცნობილი დანიელი ლინგვისტი სოტო ჯეფერსონი მას ასე განმარტავს: ენა არის დედის ენა, რომელზეც ირგვლივ საუბრობენ. ჩვენი მშობლიური ენის განვითარებისა და დაცვისთვის საჭიროა მისდამი პატივისცემა.

- ახლო ურთიერთობა გქონდათ ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძესთან...

- ბატონი ტარიელის ზრუნვა ქართული ენის დაცვაზე ფასდაუდებელია. იგი ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდა. მისი და საღად მოაზროვნე ქართველების ძალისხმევით, რამდენიმე ქალაქში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა. ტარიელ ფუტკარაძე თვლიდა, რომ კიდევ მეტის გაკეთება იყო საჭირო.

- თქვენს ოჯახში მშობლიური ენისადმი რა დამოკიდებულებას იჩენდნენ?

- ოჯახი ყველაფრის საწყისია და აქ ყველანი ქართულ ენაზე ვსაუბრობდით. თურქული ენა ართვინის ვილაეთის სოფელ ჩუქურის სკოლაში ვისწავლე. ჩემი მიზანია, იმ ტერიტორიებზე, სადაც ქართველები კომპაქტურად სახლობენ, ქართული ენა სკოლებში ისწავლებოდეს. 1993 წელს, როცა თბილისის მეტროში ქართულ ენაზე მოვისმინე ინფორმაცია, მაშინ უფრო გავითავისე მშობლიური ენის მნიშვნელობა. ძალიან განვიცდი, რომ ბევრ ობიექტზე ინგლისურენოვანი წარწერაა და არა - ქართული. მსოფლიოში 14 დამწერლობაა და მათ შორისაა ქართული, რომელსაც დაცვა სჭირდება. დიდი სურვილი მაქვს, თურქმა ხელოვანებმა და, საერთოდ, ხალხმა შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედება გაიცნოს. ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე ყოველ წელს 15-20 ადამიანს ვაცნობთ ქართულ ანბანს, ანუ მრავალ თურქეთელ ქართველს ვასწავლეთ ქართული ენა და ვაჩვენეთ ახალი გზა. აქვე მინდა აღვნიშნო ქედელ ქალბატონ მერი დიასამიძის დიდი ღვაწლი. სირთულეები გვქონდა და კიდევ გვაქვს. გვჭირდება საქართველოში, თუნდაც თურქეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების თანადგომა.

- თურქეთის მთავრობის მხარდაჭერა თუ გაქვთ?

- კი, რაც მისასალმებელია. კანონი დედაენის სწავლების შესახებ კარგია, მაგრამ სკოლებში ქართული ენის მასწავლებლების ნაკლებობაა. არ გვაქვს საჭირო დაფინანსება მსოფლიო დონორი ორგანიზაციებიდან.

- ინტერვიუს მახარაძეთა საგვარეულო შეკრებაზე ვიწერთ. რა ადგილს დაიჭერს ის თქვენს მომავალ საქმიანობაში?

- ნამდვილად არ ვიცოდი, თუ გვარში ფილოსოფოს მიხეილ მახარაძის, მათემატიკოს შოთა მახარაძის, პოლიტიკოს მიხეილ მახარაძის სახით ასეთი წარმატებული ადამიანები გვყავდა. როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მეტად დავუახლოვდი მწერალ აკაკი მახარაძეს, პოეტ ზვიად მახარაძეს, აბულაძეთა საგვარეულოს ეთნარქ ვახტანგ აბულაძეს, „მწიგნობრის“ ხელმძღვანელ მანანა წულუკიძეს. საქართველოში ჩამოსვლა, ახალი მეგობრის, თანამოაზრის შეძენა ყოველთვის მიხარია. მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველს რამდენიმე სტრიქონი ჩემი ლექსიდან „ჩემო დედავ, საქართველო“ გავაცნო:

„აგერ მიპოვა შენმა შვილმა,
მკერდიდან მოწყვეტილმა.
გთხოვ, ნატკენი გული გამიმრთელო,
ჩემო დედავ, საქართველო!
შეჩივლება არა მაქვს, განა?
დედას ვეძახდით: ანა!
კი ვიცოდით რამდენიმე სიმღერა,
„ჯილველოი“ და „დიდოვნანა“.

სს „ხის დამამუშავებელი კომბინატის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

2023 წლის 23 დეკემბერს, 12:00 საათზე, ტარდება სს „ხის დამამუშავებელი კომბინატის“ აქციონერთა რიგგარეშე კრება მისამართზე: ბათუმი, ორბელიანის ქ. №7, საზოგადოების ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზი.

დღის წესრიგი:

1. სს „ხის დამამუშავებელი კომბინატის“ ორ საწარმოდ ნატურით გაყოფის შესახებ;
2. სს „ხის დამამუშავებელი კომბინატის“ მატერიალური აქტივების ღირებულების განსაზღვრის, სხვა აქტივებისა და პასივების წილობრივი განაწილების განსაზღვრისათვის აუდიტორული საშემფასებლო კომპანია „ექსპერტ აუდიტის“ მოწვევის შესახებ.

კრებას უნდა დაესწროს ყველა აქციონერი ან უფლებამოსილი მისი წარმომადგენელი.

საინიციატივო ჯგუფი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/12/23, 17 ⁵⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„წლის წარმატებული ხელოვანის“ დაჯილდოება

მეორე წელია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საზეიმო ცერემონიაზე იწვევს ჩვენი რეგიონის იმ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებულ პროფესიულ წარმატებას მიაღწიეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში

ეს პროექტი ხელოვანი ადამიანების მხარდაჭერასა და მათ წახალისებას ემსახურება. ამ სასიამოვნო წუთებით დახუნძლულ საღამოს, რომელიც ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორ ნიკა წულუკიძეს მიჰყავდა, წელსაც ბათუმის ხელოვნების ცენტრმა უმასპინძლა.

დაჯილდოებამდე შეკრებილებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა მიმართა და აღნიშნა, რომ „წელს რეგიონს გამორჩეულად მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით დატვირთული დღეები ჰქონდა და ჩატარდა როგორც ახალი, ისე ტრადიციული ფესტივალები, იყო სიახლეები თანამედროვე მუსიკის მიმართულებით. ასეთი საღამოებით ვცდილობთ, მადლობა გადავუხადოთ ადამიანებს უდიდესი შრომისთვის, თუმცა, ცოტათი რთულია მათგან საუკეთესოს გამორჩევა, დაჯილდოება კი შეუძლებელია მხარდაჭერის გარეშე, რომელიც ჩვენს სფეროს აჭარის მთავრობისგან ნამდვილად აქვს“.

შეკრებილებს მიესალმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე.

- როცა ჩვენს კუთხეზე ვსაუბრობთ, ადამიანს ყოველთვის ჩვენი ფოლკლორის ის ელემენტები ახსენდება, რომელიც აჭარისთვისაა დამახასიათებელი, - თქვა მან, - სასიხარულოა, რომ თქვენ, ამ სფეროს წარმომადგენლები, ნამდვილად უფრთხილდებით, ჰქმნით, ასევე ავითარებთ კულტურას. ხელისუფლება, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რომ კულტურის სფეროს, ხელოვანებს ჰქონდეთ მაქსიმალური მხარდაჭერა, რადგან კულტურა ნამდვილად ის მთავარი საყრდენია, რომლის გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერ პროგრესირებს. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, თქვენი ღვაწლი ღირსეულად დაფასდეს - კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვანების შემოქმედებითი პროცესის მხარდაჭერა და მთლიანად სფეროს დაფინანსება კვლავაც გაგრძელდება. ახლახან აჭარის უმაღლესმა საბჭომ ბიუჯეტი დაამტკიცა და ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ კულტურის სფეროს დაფინანსება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებები, მესამედითაა გაზრდილი, რაც საშუალებას მოგვცემს, თქვენ კიდევ უფრო მეტად დაგიჭიროთ მხარი. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საერთაშორისო ასპარეზზე, თითოეული ნიჭიერი ხელოვანის პოპულარიზაცია. ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია როგორც კულტურით, ისე ნიჭიერი ხელოვანებით და შესაბამისად, მსოფლიო კულტურულ რუკაზეც ღირსეული ადგილი უჭირავს. ვსარგებლობ შემთხვევით და თითოეულ თქვენგანს მადლობას ვუხდი გაწეული შრომისთვის, ღვაწლისთვის. დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ქვეყანას, თქვენს ოჯახებს.

წლის განმავლობაში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებისთვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი „ოვაცია“ და შესაბამისი ფულადი ჯილდო ხელოვანებს სამინისტროსა და მთავრობის სახელით გადაეცათ.

სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ კომისიის მიერ შერჩეული ხელოვანები:

წლის მენეჯერი კულტურის სფეროში - მიხეილ გაბაიძე;

წლის ლოტბარი - ლილი აბდულიში;

წლის საერთაშორისო წარმატება - ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთაწმინდა“;

წლის მხატვარი - მალხაზ კოჩალიძე;

წლის პედაგოგი სახელოვნებო დარგში - ირინა ხერჟი;

წლის დებიუტი - ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი;

წლის პოეტი - ცისანა ანთაძე;

წლის თანამედროვე ხელოვნების არტისტი - იოსებ ჯორბენაძე;

წლის ახალგაზრდა ხელოვანი - ბაჩი მიქელაძე;

წლის ფოტოხელოვანი - სეირან ბაროიანი;

წლის მედიამიმომხილველი კულტურის სფეროში - აჭარის დილის რადიო - თეონა ზედანია, ილია შავიშვილი;

წლის ქორეოგრაფი - ელეონორა არჩაია-გაგუა;

წლის მუზეუმელი - იზოლდა სურმანიძე;

წლის მუსიკალური ჯგუფი - „სისაიდი“;

წლის ქართული ფოლკლორის შემოქმედი - ეთერ დარჩიძე;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში შეტანილი წვლილისთვის - ლაშა ასლანიშვილი;

წლის ხელოვანი მუსიკის სფეროში - ოთარ (ბაჩო) ნაკაშიძე;

კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის - ნინო ნიჟარაძე;

კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის - ჭაბუკა სურმანიძე;

კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის - ირაკლი კახიძე;

თითოეულმა დაჯილდოებულმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს მათი შრომის დაფასებისთვის, სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვისთვის.

სპეციალური ჯილდო ბავშვთა ევროვიზიის მონაწილე პატარა მომღერალ ანასტასია ვასაძეს გადაეცა.

საღამოს მუსიკალურ ნაწილში მონაწილეობდნენ სიმფონიური ორკესტრი დავით მაზანაშვილის ხელმძღვანელობით, ზვიად ბოლქვაძე, სოფო ხალვაში, ირაკლი კახიძე, ანასტასია ვასაძე, ოთო ბაზერაშვილი, ნიკოლოზ ხარატი, ვაჩე ღვინიაშვილი, ბაჩო ნაკაშიძე, გეგა შონია, სანდრო კურცხალიძე, ნიკო ბერიძე, აჩიკო გოგიტიძე, თამთა ხუხუნაიშვილი, მზიკო ფარტენაძე, მარიტა ცეცხლაძე, რუსკა თავართქილაძე, მორის მელაძე, სალომე მირიანაშვილი.

გურამ თამაზაშვილის სახელობის ფესტივალი

ბათუმის ხელოვნების ცენტრში გურამ თამაზაშვილის სახელობის ქალაქური სიმღერების ფესტივალი გაიმართა, რომლის მხარდამჭერი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გახლავთ

მიუხედავად ცუდი ამინდისა, ფესტივალს მაყურებელი არ აკლდა. ვინც მოვიდა, ნამდვილად ისიამოვნა, რადგან მასში საქართველოს საუკეთესო ანსამბლები მონაწილეობდა. საღამო აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტ ანა შამილაძეს მიჰყავდა, რომელიც დროდადრო მომღერლისა და ფესტივალში მონაწილე ანსამბლების შემოქმედებას გვაცნობდა. გურამ თამაზაშვილი ჩვენი კუთხის წარმომადგენელია. 1953 წელს დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში. ის თვითნასწავლი მუსიკოსი იყო, ბავშვობიდან მღეროდა და სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავდა. სტუდენტობის დროს ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ანსამბლის სოლისტი იყო, რომელსაც თემურ ქევხიშვილი ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ხანს ანსამბლ „ჟურნალისტის“ (მერე „ქართული ხმები“ დაერქვა) სოლისტი გახლდათ. მალე ახალგაზრდა მომღერლებისგან თავადვე დააარსა ანსამბლი „ზარები“, რომელსაც პატრიარქის კურთხევით სახელი შეუცვალა და „ალილო“ უწოდა. გურამ თამაზაშვილი 2009 წლის 21 ნოემბერს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა. სწორედ მის მიერ დაარსებულმა ანსამბლმა „ალილომ“ გახსნა ფესტივალი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სანამ საქართველო იარსებებს, მანამ ქართულ სიმღერას გადაშენება არ უწერია.

როგორც „ალილოს“ ხელმძღვანელმა ლაშა ღლონტმა აღნიშნა, მათი ნებისმიერი წარმატება გურამ თამაზაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

- კულისებში რომ ვბრუნდები, თითქოს ანგარიშს ვაბარებ გურამს. ახლა ამ დარბაზში მისი სული ხარობს, რადგან ვინც დღეს ქართულ სიმღერას უვლის, ყველა ბათუმშია, - გვითხრა ლაშა ღლონტმა.

საღამოში ქართველი ხალხის საყვარელი ყველა ის ანსამბლი მონაწილეობდა, რომელიც წარმატებით გამოდის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ამ ანსამბლების ჩამონათვალიც კი ცხადყოფს, თუ რა დონის კონცერტი შემოგვთავაზეს ორგანიზატორებმა: სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ „ქართული ხმები“, „ბათუმი“, კვარტეტი „ნოტა“, ჯგუფი „ფორტე“, ანსამბლი „შვიდკაცა“, „თეატრალური კვარტეტი“, ბათუმური ტრიო „გოგლაურა“, თავისი სიმღერით გურამ თამაზაშვილის შვილიშვილმა თათული კილაძემაც გაახარა მსმენელი.

- 2012 წელს ეს ფესტივალი გავხსენი ტრიო „ქალაქურის“ სოლო კონცერტით ლევან კბილაშვილსა და ლაშა გოგიაშვილთან ერთად. სამწუხაროდ, დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან. ყოველ ჯერზე ვცდილობ, ფესტივალში რაც შეიძლება მეტი ანსამბლი ჩავრთო. დღევანდელმა საღამომ, მაყურებლის ოვაციამ დაგვარწმუნა, რომ ქართული სიმღერა თანდათან უფრო პოპულარული ხდება, რაც შეუძლებელია, არ გვახარებდეს. გურამი ჩვენი კუთხიდან იყო, ძალიან გამორჩეული და ამასთან, უბრალო პიროვნება. ჩემი ბაბუის, გიორგი ასამბაძის უახლოესი მეგობარი გახლდათ. დღევანდელ „ალილოს“ სწორედ გურამმა გააცნო ჩემი თავი. ძალიან პატივს ვცემდი „ქართულ ხმებს“ და რა თქმა უნდა, პირადად მას. მიხარია, რომ ასეთი სახის ფესტივალს ჩაეყარა საფუძველი, უკვე ტრადიციულიცაა. მჯერა, აუცილებლად გაგრძელდება. მინდა სამომავლოდ ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბის გახდეს. გურამის თაობის „ქართულმა ხმებმა“ კორსიკელებთან ერთად იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა. ჩემი სურვილია, იმ კორსიკელების ახალი თაობა, მექსიკელებიც, იტალიელებიც, ყველა, ვისაც თავისი ქვეყნის ქალაქური სიმღერა აქვს, ბათუმში მოვიწვიო. ტურისტები ქართული სიმღერის გასაცნობად ამ ფესტივალზე უნდა ჩამოდიოდნენ, რადგან ქართულ სიმღერას, ღვინოს, ცეკვას მსოფლიოში ელჩობის გაწევა შეუძლია, - გვითხრა „ალილოს“ სოლისტმა და ფესტივალის ორგანიზატორმა აჩიკო ბერიძემ.

- ვიცოდი, რომ გრანდიოზული საღამო იქნებოდა, მაგრამ ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. თითოეული ანსამბლის გამოსვლა იყო ბრწყინვალე. საოცარი ემოციებით ვარ დამუხტული. ქართული სიმღერა რომ გვიყვარს, დღესაც გამოჩნდა - ასეთ ცუდ ამინდში დარბაზი მაყურებლით იყო გადაჭედილი, - აღნიშნა ბათუმის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნანა ჟღენტმა.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა